

„ათასლარიანი ვაუჩერების დარიგება ხალხის მოტყუება“

გაზეთი „ყველა სიახლე“ – 8-15 აგვისტო, № 32, 2012

არჩევნები ახლოვდება და ხელისუფლება ახალ-ახალი პროგრამებითა და დაპირებებით ანებივრებს ჩვენს ხალხს. „ძლიერი ოჯახი ძლიერი საქართველო“ – ამ სლოგანით წარმოგვიდგინა ხელისუფლებამ კიდევ ერთი ახალი პროგრამა, რომლითაც თითოეულ ოჯახს ათასლარიანი ვაუჩერი უნდა გადაეცეს. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა რუსთავში, ერთ-ერთ ოჯახში სტუმრობისას ბრძანა. ახალ პროგრამაში ნათქვამია, რომ ვაუჩერი ოთხწლიანია და მისი საშუალებით თითოეული ოჯახი შეძლებს სურვილის მიხედვით დაფაროს კომუნალური ხარჯები, შეიძინოს სასკოლო სახელმძღვანელოები, მედიკამენტები, მოიმარაგოს სასუქი, საწვავი და ა.შ... ათასლარიანი ვაუჩერის „შექჩრდილებზე“ გვესაუბრება ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლადო პაპავა:

– „ძლიერი ოჯახი ძლიერი საქართველო“ – მსგავსი ფრაზა აქვს ნათქვამი ხალხთან შეხვედრისას ბიძინა ივანიშვილს და რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, ეს სიტყვები შემდეგ ვანო მერაბიშვილმაც გაიმეორა. აშკარაა, რომ „ნაციონალებმა“ ბევრი რამ გადაიღეს ოპონენტებისაგან, მაგრამ ათასლარიან ვაუჩერზე საავტორო უფლებები მხოლოდ მათ ეკუთვნით იმიტომ, რომ ასეთ „გენიალურ“ იდეას სხვა ვერავინ მოიფიქრებდა.

– ბატონო ლადო, თუ ოთხ წელიწადში თითოეულ ოჯახს ათასი ლარი ერგება, წელიწადში ეს 250 ლარი გამოდის, თვეში კი – მხოლოდ 20 ლარი და 83 თეთრი, როგორ შეიძლება ეს თანხა ეყოს ან მედიკამენტებს, ან კომუნალურ ხარჯებს, ან საწვავს?

– უფრო მეტიც, ავიღოთ საშუალოდ 3-სულიანი ოჯახი და ვიანგარიშოთ, მის თითოეულ წევრს ამ ვაუჩერით დღეში რა თანხა მოუწევს: ოჯახს – 70 თეთრი, ხოლო ოჯახის თითოეულ წევრს – 23 თეთრი. თანაც, არ უნდა დაგივიწყოთ, რომ ვაუჩერი ეს არის სახეშეცვლილი ფული. პრაქტიკულად ეს არის მოსახლეობაში ფულის სუროგატის დარიგება, რაც თავისთავად ხელს

უწყობს ფასების ზრდას. ასე რომ, ნებისმიერ შემთხვევაში ვაუჩერი ეს არის ინფლაციური ინსტრუმენტი, რომელიც მხოლოდ კრიზისულ ვითარებაში შეიძლება გამოვიყენოთ, რადგან ეს მოსახლეობის შეჭირვებული ფენებისათვის მაინც შეღავათია. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მთავრობა განუწყვეტლივ არიგებს სხვადასხვა სახის ვაუჩერებს და ახლაც ოთხწლიანი ვაუჩერი შემოგვთავაზა, ანუ, კრიზისულ ინსტრუმენტს მთავრობა იყენებდა ოთხი წლის განმავლობაში, ახლა კი გვპირდება, რომ მომავალი ოთხი წლის განმავლობაშიც გამოვიყენებს. მთავრობა ამით გვეუბნება: ქვეყანა კრიზისამდე მივიყვანე და არც ვაპირებ გამოვიყვანო ამ კრიზისიდანო. ამავდროულად, თურმე ეს ვაუჩერი შეიძლება გამოვიყენო კომუნალური ხარჯებისათვის, მედიკამენტების შესაძენად, მიწის დასამუშავებლად თუ სასუქის შესაძენად... – მაშასადამე, არც ერთ ამ სფეროში მთავრობას ეფექტიანი პოლიტიკა არ ექნება. ეს ნიშნავს, რომ მთავრობამ კიდევ ერთხელ აღიარა თავისი უუნარობა მართოს ქვეყანა. ამ საკითხის მიმართ ხალხს სრულიად განსხვავებული მიდგომა შესთავაზა ბიძინა ივანიშვილმა, რომელმაც ერთ-ერთი საჯარო გამოსვლის დროს მოსახლეობას უთხრა – ვაუჩერებით შეურაცხყოფას აღარ მოგაყენებთო. თუ სწორ სოციალურ პოლიტიკას ატარებ, ხალხის უზრუნველსაყოფად ვაუჩერები აღარ უნდა გჭირდებოდეს. სწორი სოციალური პოლიტიკა ნიშნავს, რომ მინიმალური ხელფასი და პენსია საარსებო მინიმუმზე ნაკლები არ უნდა იყოს, რომ ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს ღირსეული შრომით ღირსეული არსებობის საშუალება. აი, ეს „მენიუ“ შესთავაზა ივანიშვილმა ამომრჩეველს, მერაბიშვილმა კი შესთავაზა ვაუჩერები, ანუ ისევ კრიზისსა და სიდუხჭირეში ყოფნა. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მერაბიშვილს ნამდვილად არ უნდოდა ცუდი რამ შეეთავაზებინა ამომრჩეველისათვის, მაგრამ მან და მისმა მთავრობამ უკეთესი ვერაფერი მოიგონეს. ეს არის პრინციპული განსხვავება მოცემულ პრობლემაზე მერაბიშვილისა და ივანიშვილის იდეებს შორის.

– თუმცა, როდესაც გამოცხადდა, რომ ათასლარიანი ვაუჩერებს დაარიგებდნენ, ეს ბევრს მოეწონა.

– ღიახ, აქ არის ერთი საინტერესო მომენტი, რომელიც გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს „ნაციონალურ მოძრაობას“: მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ აცნობიერებს, თუ რა არის ვაუჩერი, ვერ ხვდება, რომ ეს სიდუხჭირეში ყოფნას ნიშნავს. ზოგმა ამ ათასი ლარის უკან მაცივარი წარმოიდგინა, ზოგმა – ტელევიზორი. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ სწორედ ასეთ ხალხზე გათვალა ყველაფერი. ჩვენ კი, ვისაც გვინდა, რომ საზოგადოებას აუფხსნათ, რასთან გვაქვს

საქმე, შეზღუდული შესაძლებლობები გვაქვს საამისოდ. კი ბატონო, გაზეთებსაც ვაწვდით ინფორმაციას, არის რამდენიმე ტელეკომპანია, სადაც შეიძლება სიმართლე თქვა, მაგრამ ეს გზები შეზღუდულია. „ნაციონალური“ არხები იმ სპეციალისტებს, იმ ექსპერტებს, რომლებიც მოსახლეობას თვალს აუხელებენ, ეთერს არ უთმობენ, ამიტომ, ინფორმაცია, რომ ვაუჩქერები ხალხის მოტყუებაა და სხვა არაფერი, ქვეყნის მასშტაბით ვერ ვრცელდება.

– სხვათა შორის, პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ 1000-ლარიანი ვაუჩქერების დარიგება ქვეყნის მასშტაბით 1 იანვრიდან დაიწყება, ე. ი., „ნაციონალები“ წასვლას არ აპირებენ?

– შეიძლება ითქვას, რომ ვაუჩქერების დარიგება უკვე დაიწყო. ყველამ ვნახეთ, როგორ მიიტანა პრემიერ-მინისტრმა ის ერთ-ერთ ოჯახში. წასვლას რომ არ აპირებენ, ეს მესმის იმიტომ, რომ პოლიტიკოსი უნდა იბრძოდეს, რომ პოლიტიკაში დარჩეს. ისინი ფიქრობენ, რომ დარჩებიან და ცდილობენ ამისათვის ყველაფერი გააკეთონ, მაგრამ მათი მომავალი მეტწილად ჩვენზე, რიგით ამომრჩევლებზეა დამოკიდებული.

– ვთქვათ ისინი სხვა პოლიტიკურმა ძალამ შეცვალა, ვაუჩქერებს და მათთვის გამოყოფილ თანხას რა ბედი ეწევა?

– ვითარება საკმაოდ რთულია: თუ პარლამენტში უმრავლესობით მოვა „ქართული ოცნება“, არ უნდა დავივიწყოთ, რომ პრეზიდენტი კვლავაც სააკაშვილი იქნება და ამას აუცილებლად მოჰყვება სერიოზული დაპირისპირება პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის. თუ პარლამენტი ძალიან გაურთულებს სააკაშვილს მთავრობის დამტკიცებას, კონსტიტუციის მიხედვით, ექვსი თვის შემდეგ პრეზიდენტს შეუძლია პარლამენტი დაითხოვოს. იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი ვერ მოახერხებს პრეზიდენტის იმპიჩმენტის განხორციელებას, რაც პროცედურულად ძალიან რთულია, ექვსი თვის შემდეგ პრეზიდენტს აქვს სერიოზული ბერკეტი პარლამენტის დაშლისა და ვადამდელი არჩევნების დანიშვნისათვის. თუ სააკაშვილს რამდენიმე თვეში მოიცდილებენ, მაშინ ქვეყანას ეშველება. წინააღმდეგ შემთხვევაში კი ეს ერთი წელი საკმაოდ რთული იქნება ქვეყნისათვის და რაიმეს წინასწარ თქმა ძნელია. ამიტომ, ვერ ვიტყვით, ათასლარიანი ვაუჩქერების ბედი როგორ გადაწყდება.

– ბატონო ლალო, თქვენც ფიქრობთ, რომ „ნაციონალებმა“ „ქართული ოცნების“ ბევრი იდეა მიითვისეს?

– ის დაპირებები, რომლებიც ხალხს მისცა ივანიშვილმა, ერთი ერთზე განმეორდა მთავრობის პროგრამებში. ოღონდ უყურეთ აქაც რა თვალთამქცობა

იმალება: თუ ივანიშვილი ამბობს, რომ ქვეყანაში ყოველწლიურად ერთი მილიარდი ლარი დაიხარჯება სოფლის მეურნეობისათვის, მერაბიშვილმა თქვა – ოთხ წელიწადში ოთხი მილიარდი დაიხარჯებაო, ეს ხომ ერთი და იგივეა? საყურადღებოა კიდევ ერთი რამ: პროგრამაში, რომელიც წარმოადგინა ახალმა მთავრობამ და ივანე მერაბიშვილმა, ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი წინა პროგრამებისა და გეგმების შესახებ. მთავრობა არაფერს ამბობს წინა პროგრამების შეუსრულებლობის მიზეზებზე და ჩვენც რატომ უნდა გვქონდეს განცდა, რომ ის ახალ პროგრამას განახორციელებს? ხომ შეიძლება არჩევნების შემდეგ „ნაციონალურ მოძრაობაში“ მოიძებნოს სხვა ხალხი და იმ ხალხმა ახალი პროგრამები დადოს? ან იმავე ივანე მერაბიშვილმა შეიძლება შემოგვთავაზოს სულ სხვა პროგრამა, სადაც საერთოდ არ იქნება ნახსენები ამჟამინდელი? ასე იყო 2011 წლის ნოემბერში, როდესაც მთავრობამ დიდი ზარ-ზეიმით გვამცნო ათპუნქტიანი გეგმა, რომელიც ხუთ წელიწადზე იყო გათვლილი. ერთი წელიც არ გასულა, მაგრამ ეს დოკუმენტი მთავრობას რატომღაც არ ახსოვს. იმის მიუხედავად, რომ „ნაციონალები“ პიარტექნოლოგიის დიდოსტატები არიან, უკვე ვეღარ ახერხებენ დამალონ ის უკმაყოფილება, რაც ბოლო წლებში დაგროვდა „ნაციონალური მოძრაობის“ ეკონომიკური და არა მარტო ეკონომიკური პოლიტიკის მიმართ. ხალხი უკვე რეალურად აფასებს სიტუაციას და არა აქვს იმედი, რომ „ნაციონალები“ ქვეყნის ბედს ძირფესვიანად შეცვლიან, ამავე დროს ხალხს გაუჩნდა იმედი, ეს იმედი გააჩინა „ქართულმა ოცნებამ“. ამიტომ ყველაფერი უნდა გააკეთდეს, რომ მოსახლეობამდე მივიდეს ის ძირითადი გზავნილები, რომლებიც აქვთ „ქართულ ოცნებას“ და მის ლიდერებს, რათა არჩევნებში წარმატებას მიაღწიონ.

– ბატონო ლადო, ხელისუფლების მომხრეები ამტკიცებენ, რომ მერაბიშვილი შეძლებს დანაპირების შესრულებას, რადგან ის წარმატებული მინისტრი და კარგი მენეჯერია.

– ეს უსუსური არგუმენტია, უფრო მეტიც ეს არის სიბრყვე. თუკი მინისტრი მენეჯერია, ესე იგი, ის ცუდი მინისტრია. მენეჯერი ბიზნესსტრუქტურის წარმართველია და ის არ უნდა იყოს მთავრობაში, მთავრობაში უნდა იყოს სახელმწიფო მოღვაწე. თავის დროზე ზურაბ ნოღაიძელი ტრაბახობდა – კარგი მენეჯერი ვიყავო, მაგრამ თუ მენეჯერი იყო, რა უნდოდა პრემიერ-მინისტრად? – ესე იგი, ცუდი პრემიერ-მინისტრი იყო. რაც შეეხება მერაბიშვილის წარმატებულ მინისტრობას, მისი და მის მიერ შექმნილი უწყების ანგარიშზეა საპატრულო პოლიცია, „სოდი“ და „კუდი“ – უწყებები, რომლებიც ხალხს არბევენ, უსმენენ,

მოსახლეობის დიდ ნაწილს ღირსება დააკარგინეს. თუკი ეს მისთვის წარმატებაა, ჩვენს პრემიერს მართლაც შეუძლია ამგვარი „წარმატებებით“ იტრაბახოს.

ესაუბრა ხათუნა ჩიგოგიძე